ოქმი N3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს
მორიგი სხდომის

ქ. ოზურგეთი

2019 წლის 29 ოქტომბერი

16 საათი

თავმჯდომარეობდა: ლელა საჯაია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

ესწრებოდნენ: ეროდი გორდელაძე -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; ქეთევან ვასაძე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი; საბჭოს წევრები: დავით დარჩია, გიორგი ღურჯუმელიძე, მარიკა ჩხიკვიშვილი, გელა არუშიძე, ნანული ორაგველიძე, როზეტა სკამკოჩაიშვილი, გელა ჩავლეშვილი, ლალი სიჭინავა, მაია ზოიძე,ხათუნა ცერცვაძე, ბახვა დოლიძე, ლევან ნინიძე, გენო ჩავლეშვილი, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ლელა საჯაია მიესალმა საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობას ესწრება ყველა წევრი და საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 16 ხმით.

დღის წესრიგი:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საბიუჯეტო ინიციატივები;
   მომხსენებელი: ლელა საჯაია;
   თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი;

საბჭოს თავმჯდომარემ ლელა საჯაიამ კოლეგებს და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ოზურგეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავებული საბიუჯეტო ინიციატივები. მან საკრებულოს, მერიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ფოკუს ჯგუფების მიერ გამოვლენილი პრიორიტეტების ანალიზის მიხედვით შემუშავებული ინიციატივები გააცნო.

მისი განცხადებით მუშაობის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე პრიორიტეტი, ესენია: სკოლამდელი აღზრდა, შშმ პირთათვის ინტეგრირებული გარემოს შექმნა, ონკოლოგიური დაავადების მიმართულებით პრევენციული ღონისძიებების გატარება,

საზოგადოებრივი საპირფარეშოებისა და სამგზავრო მოსაცდელების მოწყობა ქალაქის ტერიტორიაზე.

მანცე პრეზენტაციის სახით წარმოადგინა პროგრამის პროექტი ძუძუს კიბოს გენეტიკური კვლევის დაფინანსების შესახებ, რომელიც გულისხმობს პრევენციის მიზნით ძუძუს კიბოს გენეტიკური კვლევის დაფინანსებას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არსებული საბიუჯეტო ინიციატივების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდნენ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის NDI-ის საქართველოს ოფისთან და მადლობა გადაუხადა მათ აქტიური მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის.

საბჭოს წევრებმა 15 ხმით მხარი დაუჭირეს გადაწყვეტილებას, საბიუჯეტო ნიციატივები პროგრამულ ფორმატში გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას განსახილველად 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა;

ლელა საჯაია----------/ლ.საჯაია/

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე